

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 8 მაისის №6134-IX დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 8 მაისის №6134-IX დადგენილების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 10.05.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190060.09.001.016107) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი, მე-2 და 2<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 24 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

**პავლე კუბლაშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

**ლევან ვეფხვაძე** – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

**პაატა დავითაია** – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

**დავით დარჩიაშვილი** – საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

**გიორგი მელაძე** – საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე

**ნუგზარ წიკლაური** – საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

**ზურაბ მელიქიშვილი** – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე

**ვახტანგ ბალავაძე** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე

**პეტრე ცისკარიშვილი** – საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი

**გია თორთლაძე** – ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე

**გიორგი ახვლედიანი** – ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე

**დიმიტრი ლორთქიფანიძე** – ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე

**გურამ ჩახვაძე** – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**რატი მაისურაძე** – საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ჯონდო ბალათურია** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ანდრო ალაგვიძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**გიორგი ცაგარეიშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**დიმიტრი მაგნიძე** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

**ვასილ გონაშვილი** – სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

**ირაკლი ბურდული** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი

**დავით კერესელიძე** – აკადემიური პერსონალი, სრული პროფესორი

**გიორგი კვერენჩილაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

**ნანა ჭილაძე** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

ევგენი დავითაია – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სტრატეგიული განვითარების  
სააგენტოს უფროსი.“.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დ . ბაქრაძე  
თბილისი,  
2012 წლის 25 მაისი .  
№6371-ის